



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 24 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №66/287-2  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2018 წლის 26 ნოემბრის №--, 2019 წლის 06 მარტის №--, 2019 წლის 12 ივნისის №-- და 2019 წლის 17 ოქტომბრის №-- საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 16 იანვარს, 04 მაისს, 18 ივლისსა და 14 ნოემბერს.

**1. საჩივრების ავტორის მიერ მითითებული გარემოება:**

საჩივრების ავტორი მიუთითებს 2011 წელს გამოტანილი გადაწყვეტილების უკანონოობაზე. საჩივრების ავტორი ასევე მიუთითებს --- სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის მხრიდან შესაძლო დისციპლინურ დარღვევაზე.

**2. საჩივრების საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

--- სასამართლოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილებით, --- ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლით და შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი 100 ლარის ოდენობით.

**3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 16 იანვრის, 04 მაისის, 18 ივლისისა და 14 ნოემბრის დასკვნები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 1 წელი (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა.

საჩივარში მითითებული გადაწყვეტილება მიღებულია 2011 წლის 27 სექტემბერს, შესაბამისად, გასულია დისციპლინურ პასუხისმგებში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლეთა მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ხატია მეშველიანი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს სასამართლოს აპარატის მოხელის მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით, ვინაიდან დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს, აგრეთვე დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას ახორციელებს მხოლოდ მოსამართლის მიმართ.

აქვე უნდა აღნიშნოს ის სამართლებრივი გარემოება, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოება იწყება დისციპლინური გადაცდომის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან 3 წელი არ არის გასული. განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორი საუბრობს 2011 წლის დადგენილებაზე, რის შემდგომაც გასულია კანონით დადგენილ დისციპლინურ გადაცდომაზე რეაგირების კანონით დადგენილი ვადა.

შესაბამისად, სუბიექტის (მოსამართლე) არ არსებობის გამო არ იკვეთება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების, ხოლო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო შესაბამისი დოკუმენტაციის -- -- სასამართლოს თავმჯდომარისათვის შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნის სამართლებრივი საფუძველი.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად<sup>1</sup> შეიცვალა ხანდაზმულობის ვადები. თუ 2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქციით მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასული იყო 5 წელი, 2020 წლის 01 იანვრიდან მოქმედი რედაქციის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.“<sup>2</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია, რადგანაც დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება განუხორციელებელია. ხანდაზმულობის ვადას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისციპლინური სამართალწარმოებისათვის, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის აუცილებელია, რომ საჩივარი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი იყოს ქმედების ჩადენიდან 3 წლის განმავლობაში.

ხანდაზმულობის ვადა რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება, კერძოდ, ის უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობას, იცავს პოტენციურ მოპასუხეებს დროულად განუცხადებელი საჩივრებისგან, რომელთა განხილვის შემთხვევაშიც რთული იქნებოდა სამართლიანობის დადგენა,

<sup>1</sup> საქართველოს 2019 წლის 13 დეკემბრის ორგანული კანონი №5569 – ვებგვერდი, 25.12.2019წ.

<sup>2</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლი

ვინაიდან სასამართლოებს მოუწევდათ გადაწყვეტილების მიღება იმ მოვლენების ირგვლივ, რომელთაც შორეულ წარსულში ჰქონდა ადგილი ... (Stubbings and Others v. the United Kingdom, §51).

ხანდაზმულობის ვადის მიზანია თავიდან აიცილოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჩივრის დაგვიანებით წარდგენა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს კონკრეტული საქმის მოკვლევას და საქმის გარემოებების სრულყოფილ შესწავლას. ამასთან, ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ, ამოიწურა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია). ორგანული კანონის ზემოაღნიშნული დებულება დამოუკიდებელ ინსპექტორს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად მიიღოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ საჩივრის წარმოდგენამდე გასულია 3 წელი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 16 იანვრის, 04 მაისის, 18 ივლისისა და 14 ნოემბრის დასკვნების თანახმად, -- -- 2018 წლის 26 ნოემბრის №--, 2019 წლის 06 მარტის №--, 2019 წლის 12 ივნისის №-- და 2019 წლის 17 ოქტომბრის №-- საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლემ დადგენილება გამოიტანა 2011 წელს, ხოლო საჩივრები წარმოდგენილი იყო 2018 და 2019 წლებში.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად დადასტურებულია, რომ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე (საჩივრის წარმოდგენამდე) გასული იყო 3 წელი, რის გამოც, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა შეწყდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### გადაწყვიტა:

-- -- 2018 წლის 26 ნოემბრის №--, 2019 წლის 06 მარტის №--, 2019 წლის 12 ივნისის №-- და 2019 წლის 17 ოქტომბრის №-- საჩივრებზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**